ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია

დასკვნა:**დ02. 3723128001**
თარიღი:**08/05/2023**

დასკვნა

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია მიმდინარე წლის 2 მაისს განიხილა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის ინიციატივა, ქალაქ ოზურგეთში ზვიად გამსახურდიას მოედანის მიმდებარედ არსებული პარკის ტერიტორიაზე ბენიამინ (ბენია) ჩხიკვიშვილის ბიუსტის განთავსების შესახებ.

კომისიის სხდომაზე, რომელსაც ესწრებოდნენ საზოგადოების წარმომადგენლები, ისტორიკოსები, სხვა დაინტერესებული პირები, აღინიშნა:

ბენიამინ (ბენია) ჩხიკვიშვილი მეოცე საუკუნის ერთ-ერთი გამორჩეული რევოლუციონერი, სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის აქტიური მოღვაწე იყო. იგი დაიბადა 1881 წელს ჩოხატაურში.

ბ. ჩხიკვიშვილი, ნესტორ კალანდარიშვილთან ერთად ხელმძღვანელობდა ნასაკირალის ბრძოლას. აჯანყებული გურიის რესპუბლიკის გამოცხადების შემდეგ იყო მისი მმართველი. გურიის დროებითი მთავრობის არჩევნებში დამაჯერებელი გამარჯვების შემდეგ, მას უწოდებდნენ გურიის რესპუბლიკის პრეზიდენტს, ხშირად მეფესაც. საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის არსებობის პირობებში (1919-1920წწ) ეკავა თბილისის მერის თანამდებობა. 1920 წელს კი დაინიშნა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილედ. აღნიშნულ თანამდებობაზე დანიშვნამდე იყო ბათუმის ოლქის გენერალ-გუბერნატორიც.

ბ. ჩხიკვიშვილს ხელი აქვს მოწერილი საქართველოს ეროვნული საბჭოს მიერ მიღებულ დამოუკიდებლობის აქტზე, რომლითაც გამოცხადდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის საფრანგეთში ემიგრაციის დროს ბენია ჩხიკვიშვილი იყო ლევილის მეპატრონე. იგი საქართველოში დაბრუნდა 1924 წელს და აქტიურად ჩაერთო საქართველოს ბოლშევიკური მთავრობის წინააღმდეგ მოწყობილ აჯანყებაში.

ბენიამინ ჩხიკვიშვილი დააპატიმრეს 1924 წლის 25 ივლისს და დახვრიტეს რუსეთის ტერიტორიაზე.

კომისიამ ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით გადაწყვიტა

1. მოწონებული და მხარდაჭერილი იქნას ქ. ოზურგეთის ზვიად გამსახურდიას მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ პარკში ბენიამინ ჩხიკვიშვილის ბიუსტის განთავსების ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის ინიციატივა.

2. ბენიამინ ჩხიკვიშვილის ბიუსტის ზემოთ აღნიშნულ პარკში განთავსებისათვის საჭირო თანხმობის მისაღებად შესაბამისი დოკუმენტაცია გადაეგზავნოს საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს.

ბექა თოიძე

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი